

პროექტის დასახელება:	საქართველოს საფინანსო სექტორი – თიბისი ბანკის II საიპოთეკო საკრედიტო ხაზი
ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	38603
ღარბი:	ბანკების დაკრედიტება
სექტორი:	კერძო
ბარემონსდაცვითი კატეგორია:	FI
ეპრობანკის დირექტორთა საბჭოზე განხილვის თარიღი:	2007 წლის 11 დეკემბერი
სტატუსი:	მაღე შედგება კონცეფციის განხილვა
საზოგადოებრივი შესწილვის დოკუმენტის გამომქვეყნების თარიღი:	2007 წლის 8 ნოემბერი
საზოგადოებრივი შესწილვის დოკუმენტის განახლების თარიღი:	

პროექტის მოკლე აღწერა და მიზნები:

გირავნობით გაუმყარებელი 12 მილიონი აშშ დოლარი საიპოთეკო საკრედიტო ხაზის სახით გამოიყოფა ორ ტრანშად – თითოეული 6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. ევრობანკის ფინანსური რესურსები გამოყენებული იქნება საქართველოში ფიზიკური პირების უფრო გრძელვადიანი საიპოთეკო კრედიტებით დასაკმაყოფილებლად ბინების შესაძენად, გასარემონტებლად, გასახლებლად, ასაშენებლად და/ან პირველადი საიპოთეკო კრედიტის რეფინანსირებისთვის.

გავლენა ეკონომიკის გარდაქმნის პროცესზე:

გავლენა ეკონომიკის გარდაქმნის პროცესზე მიღწეული იქნება საქართველოს კომერციული ბანკისადმი საიპოთეკო საკრედიტო ხაზის გამოყოფით. ქვეყანაში ამჟამად ეს საბანკო პროდუქტი მთლიანი შიდა პროდუქტის მცირე ფრაგმენტს წარმოადგენს, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით (მშპ-ს დაახლოებით 3%, 2007 წლის ივნისის მდგომარეობით). საიპოთეკო დაკრედიტების შემდგომი განვითარება დამოკიდებულია გრძელვადიანი ფინანსური რესურსების არსებობაზე. შემოთავაზებული დაფინანსება გაზრდის საქართველოს საბანკო სექტორში ამ პროდუქტზე რესურსების მიწოდებას და უფრო მეტი ფიზიკური პირი შეძლებს ისარგებლოს ამ საბანკო პროდუქტით და შეიძინოს, გაარემონტოს და/ან აიშენოს ბინა. ამ პროექტის კვალობაზე სტიმულირებული იქნება ასევე საუკეთესო ბიზნეს პრაქტიკის გამოყენება, რადგან ბანკი იცავს ევრობანკის მიერ რეკომენდებულ მინიმალურ სტანდარტებს საიპოთეკო დაკრედიტებისთვის.

კლიენტი:

თიბისი ბანკი, საქართველოს წამყვანი კომერციული ბანკი

ეპრობანკის დაფინანსება:

12 მილიონი აშშ დოლარი

საპროექტო ხარჯების ჯამი:

12 მილიონი აშშ დოლარი

გარემოსდაცვითი გავლენა:

თიბისი ბანკს მოეთხოვება დაიცვას ევრობანკის გარემოსდაცვითი პროცედურები, მათ შორის შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ნორმები ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და შრომის სტანდარტები და ყოველწლიური ანგარიშები წარმოუდგინოს ევრობანკს ამ კუთხით მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

ტიმნიკური თანამშრომლობა:

არ ეხება.

ევრობანკის პროექტების ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ევრობანკის ინტერნეტ გვერდს მისამართზე [procurement of consultants](#).

კომპანიის საკონტაქტო პირი/რეკვიზიტები:

თიბისი ბანკის გენერალური მენეჯერის მოადგილე, ბატონი ზეზვა ცისკარიშვილი
ტელ: +995 32 777 000
ფაქსი: +995 32 222 04 06
ელ. ფოსტა: zezva@tcbank.com.ge

ევრობანკის საკონტაქტო პირი/რეკვიზიტები:

საოპერაციო სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, ქალბატონი მაღინა კასბაევა:
sakbaevm@ebrd.com

ბიზნეს შესაძლებლობები:

ბიზნეს შესაძლებლობების ან შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით ევრობანკის კლიენტ კომპანიას.

ზოგადი სახის საცნობარო ინფორმაცია:

ევრობანკის პროექტებზე ინფორმაციის მისაღებად (შესყიდვების საკითხის გარდა) დაგვიკავშირდით:
ტელ: +44 20 7338 7168; ფაქსი: +44 20 7338 7380
ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com